

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2021 წელი

მოგესალმებით,

წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2021 წლის ანგარიშს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

2021 წელი 2020-ის მსგავსად საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე იყო. COVID 19-ის პანდემიამ მნიშვნელოვნად შეცვალა მსოფლიოში არსებული ყოველდღიური რეალობა და არა ერთი დაბრკოლება შექმნა სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული ფაქტის მიუხედავად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული პრობლემა რომელიმე სფეროში არ დაფიქსირებულა და მაქსიმალური ძალისხმევით შევეცადეთ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პროექტები არ შეფერხებულიყო.

ნებისმიერი პროექტის თუ პროგრამის განხორციელებისას ვცდილობთ გავითვალისწინოთ საზოგადოების აზრი და მათთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით ვიხელმძღვანელოთ. ჩვენ მიერ გადადგმული თითოეული ნაბიჯი მიმართულია მუნიციპალიტეტის განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების.

დღეს, შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო გასულ წელს განხორციელებული ის ძირითადი სამუშაოები, რომლებიც უკავშირდებოდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

❖ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი;

მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მოცულობა შეადგენდა 19 596 500 ლარს. აღნიშნული ფინანსური რესურსი მიზნობრივად გადანაწილდა სხვადასხვა სფეროს მიმართულებით ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროების შესაბამისად.

- პრიორიტეტების მიხედვით მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულება შემდეგია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება** - შესრულება 95 %. წლიური გეგმა შეადგენდა 11 943 900 ლარს; ხარჯი 11 419 100 ლარი.

- **დასუფთავება და გარემოს დაცვა** - შესრულება 98 %. წლიური გეგმა შეადგენდა 711 000 ლარს; ხარჯი 702 900 ლარი.

- **განათლება** - შესრულება 96 %. წლიური გეგმა 1 358 400 ლარი; ხარჯი კი 1 308 100 ლარი.

- **სპორტის სფეროს განვითარება** - შესრულება 93 %. წლიური გეგმა 983 900 ლარი; ხარჯი 916 300 ლარი.

- **კულტურის სფეროს განვითარება** - შესრულება 95%. წლიური გეგმა წარმოადგენდა 1 038 900 ლარს; ხარჯი კი 991 100 ლარს.

- **ჯანმრთელობის დაცვა** - შესრულება 84 %. წლიური გეგმა 327 100 ლარი; ხარჯი 277 600 ლარი.

- **სოციალური დაცვა** - შესრულებულია 92%-ით. წლიური გეგმა 338 700 ლარი; ხარჯი 311 800 ლარი.

❖ ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურის განვითარება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

2021 წელს ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა, რომლებიც ითვალისწინებდა საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, წყალსადენი სისტემების მოწესრიგებას, სანიაღვრე არხების მოწყობს,

დამცავი კედლების, ხიდებისა და ბოგირების მშენებლობას, საგნმანათლებლო და სპორტული დაწესებულებების რეაბილიტაციას და მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი სხვა პროექტების განხორციელებას.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, 2021 წელს მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 15 პროექტი საერთო ღირებულებით 7 107 560 ლარი.

ქალაქ ამბროლაურში განხორციელდა კოსტავასა და ბრატისლავა-რაჭის ქუჩების კეთილმოწყობის პირველი ეტაპის სამუშაოები, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ კვაცხუთში, ხვანჭკარაში, გორში, კაჩაეთსა და კლდისუბანში სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები, სოფ კვირიკეწმინდაში, ზემო კრიხში, ლიხეთსა (კანთელაძეების უბანი) და საკეციაში (მიქიაშვილების უბანი) წყალმომარაგების სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოები. გარდა ამისა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით მოეწყო ქ. ამბროლაურში აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე სოფ. ურავსა და სოფ. ხიმშში მინი სპორტული მოედნები, ქ. ამბროლაურში კი დახურულ სპორტულ დარბაზთან, განხორციელდა დაზიანებული ბეტონის კედლისა და გზის საფარის აღდგენის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შესრულდა 785 000 ლარის ღირებულების 74 პროექტი. პროგრამის ფარგლებში ადმინისტრაციულ ერთეულებში მოეწყო ხიდ–ბოგირები, სანიაღვრე არხები, სტადიონები, გარე განათება, წყაროები, სასოფლო გზები და სხვა. მნიშვნელოვანია, რომ განსახორციელებელი პროექტების პრიორიტეტულობას ადგილობრივი მოსახლეობა თავად განსაზღვრავს. ეს პროგრამა ხელს უწყობს მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას როგორც მათი სოფლისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარებაში, ისე ზოგადად, თემის პრიორიტეტებისა და სამომავლო განვითარების განსაზღვრაში.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 1 000 000 ლარზე მეტი გამოიყო და განხორციელდა 40-მდე პროექტი.

მათ შორის წყალსადენი სისტემების მოვლა-რეაბილიტაციის, სანიაღვრე არხების, გზის საყრდენი კედლებისა და ხიდ-ბოგირების მოწყობის კუთხით.

გარდა ამისა ეტაპობრივად მიმდინარეობდა სოფლებთან დამაკავშირებელი გზების მოვლა-შენახვის სამუშაოები, რათა გადაადგილება შესაძლებელი იყოს ყველა სახის სატრანსპორტო საშუალებისთვის.

საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 300 000 ლარით დაფინანსდა ამბროლაურის N1 და ბუგეულის საჯარო სკოლების სხვადასხვა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი 490 000 ლარით დაფინანსდა სოფელ ველევისა და სოფელ შხივანის გზაზე არსებული ხიდისა და ბოგირის სამუშაოები, ასევე სოფელ კრიხში მდ. კრიხულასა და მდ. ხოტეურაზე ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობის სამუშაოები.

2021 წელს **მთის განვითარების ფონდის** ფარგლებში დაფინანსდა ჭყვიშის გზის რეაბილიტაციის გარდამავალი პროექტი, რომლის ღირებულებამ შეადგინა 740 688 ლარი.

,,საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში, ქალაქ ამბროლაურში დაიწყო მდ. კრიხულას სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება 4 553 234 ლარს შეადგენს და მისი დასრულება 2022 წლის ბოლომდე იგეგმება. პროექტის ფარგლებში აღნიშნულ ტერიტორიაზე დაგეგმილია რეკრეაციული ზონის მოწყობა, ბულვარის გაკეთება, გასართობი სივრცეების შექმნა და კაფე-ბარების მშენებლობა. სამუშაოების დასრულების შემდეგ ,,სანაპირო" გახდება ქალაქის ერთ-ერთი საინტერესო და მიმზიდველი ადგილი, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტებისთვის. პროექტი ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, ახალი ინვესტიციების მოზიდვასა და სამუშაო ადგილების შექმნას. გარდა ამისა დაიწყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც ითვალისწინებს აღნიშნულ ადგილებზე

ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ფანჩატურებისა და დეკორატიული გადასასვლელების მოწყობას.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს გრანტის სახით ქალაქის ტერიტორიაზე სკვერების რეაბილიტაციისათვის გადმოეცა 90 000 ლარი, რომლის მეშვეობით განხორციელდა ვაჟა-ფშაველასა და კოსტავას ქუჩების მიმდებარე სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოები. (სულ 121 767 ლარის ღირებულების, რომლიდანაც 31 767 მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებას წარმოადგენს).

ჩვენი ძირითადი მიზანია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელი სარგებლობდეს კეთილმოწყობილი სააავტომობილო გზებით, ბუნებრივი აირითა და გამართული წყალსადენი სისტემით. მიუხედავად იმისა რომ ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი პროექტები ხორციელდება, აღნიშნული საკითხი მაინც მთავარ გამოწვევად რჩება, ამიტომ სამუშაო პროცესი კვლავ აქტიურად გაგრძელდება და მაქსიმალურად ვეცდებით ყველა იმ პრობლემის მოგვარებას, რაც ადგილობრივი მოსახლეობის პირველი რიგის საჭიროებებს წარმოადგენს.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით 2021 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 338 700 ლარი. აღნიშნული თანხით განხორციელდა:

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (მომსახურებით ისარგებლა 25-მა ბენეფიციარმა, გახარჯულია 22 909 ლარი);

10 000 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო პაკეტით უზრუნველყოფა (143 ბენეფიციარზე დაიხარჯა 8 480 ლარი);

ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (72 ოჯახზე გაცემულია 30 350 ლარი);

ახლადშექმნილი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობის პროგრამა (8 ახლადშექმნილ ოჯახზე გაცემულია 8 000 ლარი);

უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება (1 გარდაცვლილის სარიტუალო მომსახურებისათვის გაიცა 250 ლარი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (16 ბავშვზე გაცემულია 4 800 ლარი);

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა (50 პირზე გაცემულია 53 000 ლარი);

„დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება (13 ბენეფიციარზე გაცემულია 34 250 ლარი);

ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება (4 ოჯახზე გაცემულია 31 081 ლარი);

მრავალშვილიან (სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება (119 მრავალშვილიან ოჯახზე გაცემულია 47 600 ლარი);

მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება (37 ოჯახზე გაცემულია 9 250 ლარი);

უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა (8 ოჯახზე გაცემულია 16 400 ლარი);

მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება (6 მარტოხელა მშობელზე გაიცა 1800 ლარი);

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (ომისა და სამხედრო ძალების 16 ვეტერანზე გაცემულია 3 200 ლარი);

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით დახმარება (საშეშე მერქნით უზრუნველყოფილ იქნა 154 ოჯახი, რომლისთვისაც დაიხარჯა 38 500 ლარი);

სოციალური პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, 672 ბენეფიციარზე სულ გაცემულია 308 870 ლარი.

სამედიცინო მომსახურების პროგრამის ფარგლებში, 2021 წელს, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 260 000 ლარით დაფინანსდა 4 ქვეპროგრამა:

ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების სამედიცინო მომსახურება (მომსახურება გაეწია 132 ბენეფიციარს, ღირებულება -121 468 ლარი);

ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა (ისარგებლა 138 ბენეფიციარმა, დახარჯულია 74 824 ლარი);

ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური სამედიცინო მომსახურება (კვლევები ჩაუტარდა 47 ბენეფიციარს. დახარჯული თანხა შეადგენს - 25 079 ლარს);

ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა მედიკამენტური მკურნალობა (ისარგებლა 85 ბენეფიციარმა, გახარჯულია 15 403 ლარი).

2021 წელს სამედიცინო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 402 ბენეფიციარს. გაცემული თანხა კი შეადგენს 236 775 ლარს.

მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე, ჩვენ ყოველწლიურად ვცდილობთ გავაუმჯობესოთ არსებული პროგრამები და ბევრი სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესები გავითვალისწინოთ.

- **განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2021 წელს, პანდემიის გამო, დაგეგმილი ღონისძიებების ნაწილი გაუქმდა, თუმცა მიუხედავად ამისა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, აღნიშნული სფეროების ხელშეწყობა-განვითარების მიზნით, არა ერთი

მნიშვნელოვანი პროგრამა განახორციელა. მათ შორის გამოვყოფდი განათლების მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს, რომლის ფარგლებშიც ოქროსმედალოსანი ახალგაზრდები 300 ლარით, ვერცხლისმედალოსნები კი 200 ლარით დაჯილდოვდნენ (სულ 9 ბავშვზე გაიცა 2300 ლარი), დამატებით 500 ლარი გადაეცათ იმ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებში 100 %-იანი გრანტი მოიპოვეს, გარდა ამისა პორტაბელური კომპიუტერებით დასაჩუქრდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების საუკეთესო აკადემიური მოსწრების, სოციალურად დაუცველი მოსწავლეები (6 ბავშვი). უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის, სოციალურად დაუცველ წარჩინებულ სტუდენტებს (10 ბავშვი) კი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ სწავლის საფასური აუნაზღაურა, რომლის საერთო ოდენობამ 19 125 ლარი შეადგინა.

გარდა ამისა განხორციელდა საჯარო სკოლების მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურება, რისთვისაც დაიხარჯა 156 329 ლარი და განხორციელდა მოსწავლეთა უფასო გადაყვანის პროგრამა, რომლის უზრუნველყოფისთვის გახარჯულია - 15 742 ლარი;

2021 წელს ასევე გაიმართა სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებები, სახელობითი ვარსკვლავები დამზადდა ანსამბლების - ,,იავნანასა“ და ,,თარიკონისთვის“, ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის” ფარგლებში 21 ფულადი ჯილდოსთვის გამოიყო 21 000 (ოცდაერთი ათასი) ლარი, შემუშავდა მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების ახალგაზრდული სტრატეგია და განხორციელდა სხვა საინტერესო აქტივობები.

დამეთანხმებით, რომ არსებული პანდემიის მიუხედავად, ერთი წლის მანძილზე მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა, თუმცა არცერთ სფეროში განხორციელებულ საქმიანობას შედეგი არ ექნება, თუ მოსახლეობამდე სწორად ვერ მივიტანთ.

მერიაში მოქმედებს ოფიციალური ფეისბუქ და ვებ. გვერდები, სადაც მოქალაქეებს შეუძლიათ მიიღონ ნებისმიერი სახის საჯარო ინფორმაცია და წარმოადგინონ მათთვის საინტერესო იდეები. რეგიონში მიმდინარე

მოვლენების შესახებ, პერიოდულად თავსდება ინფორმაციები სხვადასხვა წამყვან საინფორმაციო სააგენტოებზე; თვეში ერთხელ გამოდის გაზეთი ,,ამბროლაურის მოამბე", რომლის გარკვეული რაოდენობა მოსახლეობას უფასოდ ურიგდება; პერიოდულად მუნიციპალიტეტისა და სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები აწარმოებენ მოსახლეობასთან ადგილზე გასვლას მათი საჭიროებებისა და პრობლემების შესწავლის მიზნით.

მე შევეცადე, შესაძლებლობის ფარგლებში, მოკლედ წარმომედგინა 2021 წელს განხორციელებული საქმიანობა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან ერთად, საკმაოდ ეფექტური სამუშაოები შეასრულა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები, თუმცა მთავარია რომ ყველა ჩვენგანი მიმართული ვართ ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ აქ მცხოვრებმა თითოეულმა ადამიანმა უკეთესობა იგრძნოს.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, გვერდში დგომისა და მხარდაჭერისთვის. გპირდებით, რომ ჩემს ხელთ არსებულ ყველა რესურსს გამოვიყენებ მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის.

გმადლობთ ყურადღებისთვის!